მარიანა ქევხიშვილი*

ქართული ეკონომიკის ლობირება აშშ-ში

აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აშშ-ში 2019 წელს დაიწყო საქართველოს ეკომომიკური ლობირება და ამისათვის სამი ლობისტური კომპანია დაიქირავა: Hulsen Media Services LLC, JPW Communication და Hill and Knowlton Strategies LLC. სტატიაში განხილულია აღნიშნულ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათ მიერ გაწეული საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: ლობიზმი, ეკონომიკა, საქართველოს მთავრობა

საქართველოს ერთ–ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარება წარმოადგენს, რაც საჭიროებს სხვადასხვა მიმართულებით აქტიურ მუშაობას. საქართველოს მთავრობის „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში“ საქართველოს მთავრობის მიზნად გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის საფუძვლის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაა დასახელებული. (2020, გვ. 3).

ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად მიჩნეულია საერთაშორისო ვაჭრობაში ორმხრივი გახსნილობის უზრუნველყოფა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის არეალის გაფართოება, უცხოური ინვესტიციებისადმი ქვეყნის მზაობისა და მიმზიდველობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან ინტეგრირება და ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირება. (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. 2020, გვ. 6). ამ მიზნების შესრულებაში გარკვეულ როლს აშშ თამაშობს. ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ერთ-ერთი მიმართულება ითვალისწინებს საქართველოს პერსპექტივიდან მზარდი ეკონომიკური, სავაჭრო და ენერგე-

---

* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

ტიკული თანამშრომლობის ცენტრალურ ასპექტებს.(Smolnik, F. 2020. გვ. 6). ამ ორ ქვეყანას მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობაა ჩამოყალიბებული, ამერიკის შეერთებული შტატების წილი ქართულ ეკონომიკაში 2,5 %-ს შეადგენს, რაც მოიცავს ჯამურად ტურიზმის, ექსპორტის, უცხოური ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების კუთხით შემოსულ ფინანსურ აქტივობას. (ანგურიძე, ო. გულბანი, შ. კურდღელია, ლ. ლაშხი, მ. შატაკიშვილი, დ. ჭარაია, ვ. 2020. გვ. 4.).

საქართველოს ეკონომიკური ზრდა დიდწილად უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. (Eradze, I. 2021.). შესაბამისად, საქართველო, ისევე როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც აცნობიერებენ მრავალეროვნული საწარმოების წვლილს თავიანთი განვითარების სტრატეგიაში, ცდილობს მოიზიდოს საკუთარ ქვეყანაში უცხოური ფირმები. (Desbordes, R. Vauday, J. 2007). ხოლო უცხოური დახმარება დადებითად აისახება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ზრდაზე. (Montes-Rojas, G. 2013).

1997 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებს ინვესტიციებს საქართველოში. ამერიკასა და საქართველოს შორის გაფორმებულია ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმება. ეს შეთანხმება ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას ქმნის ეფექტური ინვესტირებისთვის, ამასთანავე კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლის მომგებიან განაწილებას უწყობს ხელს. (ჭარაია, ვ. 2020).

გარდა ინვესტიციებისა, ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სავაჭრო ურთიერთობებიც. საქართველო ამჟამად აშშ-თან ვაჭრობის ცალმხრივად შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობს, როგორიცაა ე.წ. „GSP“, რომელიც 3 ათასზე მეტი დასახელების პროდუქტზე ვრცელდება. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიდი ხანია მიმდინარეობს მოლაპარაკებები, ამ რეჟიმს აქვს ის უპირატესობა, რომ თითქმის ყველა დასახელების საქონელს შეეხება და ეს რეჟიმი მუდმივმოქმედია, რაც ინვესტორებისთვის სტაბილურობის გარანტიას ქმნის. (ჭარაია, ვ. 2020).

ინვესტორებისთვის საქართველო მიმზიდველი ქვეყანა რომ ყოფილიყო, აშშ ქართულ მხარესთან აწარმოებდა დიალოგს საქართველოში ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა კიდეც ქვეყანაში ამერიკული წარმომავლობის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებული რიგი პროექტები. (ჭარაია, ვ. 2020).

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების როლი ქართული ეკონომიკის განვითარებასა და ხელშეწყობაში დიდია, საქართველოს ხელისუფლება მაინც ცდილობს უფრო მეტად გააღრმავოს ეს თანამშრომლობა, როგორიცაა ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების კუთხით მუშაობის გაგრძელება და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება. ამისათვის კი საქართველოს მთავრობამ აშშ-ში ლობისტურ კომპანიებს მიმართა.

ამერიკაში ლობიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა და გლობალურ ვაჭრობაში, როგორც მძიმე წონის ქვეყანა აშშ და მისი თანმხლები პოლიტიკური გარემო ყოველთვის იყო სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისთვის ლობირების ძირითადი ცენტრი, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები. შესაბამისად ბევრი განვითარებული ქვეყანა ცდილობს ლობიზმის საშუალებით მოახდინოს პოლიტიკური გავლენა თავის მთავარ პარტნიორ ქვეყანაზე, საკუთარი ეკონომიკური წინსვლის მიზნით. (Jobst, A. 2002). ის ქვეყნები, რომლებიც ცდილობენ მიიზიდონ ინვესტიციები, ამასთანავე ცდილობენ გაზარდონ აშშ-ში თავიანთი ქვეყნის ცნობადობა, რაც პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობასაც ზრდის. (Montes-Rojas, G. 2018).

ლობისტები გავლენას ახდენენ კონგრესმენების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შემდგომ ხელს უწყობენ კერძო ფირმებს გააკეთონ თავიანთი ბიზნესი მსოფლიოს სხვადასხვა ადგილზე. (Monte-Rojas, G. 2018). ლობისტები აშშ-ს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს აცნობენ საკუთარი კლიენტი ქვეყნების საჭიროებებს საერთო ეკონომიკურ ინტერესებზე, ვაჭრობასა თუ ინვესტიციებზე. ამ ინფორმაციულ ზეგავლენას აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი, მოიზიდოს აშშ-ს საგარეო დახმარება (Montes-rojas, G. 2012).

ლობისტების ძირითადი საქმიანობა ამ მიმართულებით, მოიცავს აშშ-ს მთავრობასთან დაკავშირებული პირების ლობირებას, მედია ლობირებას და ვაჭრობის ხელშეწყობის რეკლამას. (Montes-Rojas, G. 2018). საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ აშშ-ში 2019 წელს დაიწყო საქართველოს ეკონომიკის ლობირება. საქართველოს მთავრობამ აშშ-ში საქართველოს ეკონომიკის, ბიზნეს გარემოსა და ტურისტული პოტენციალის ცნობადობის გასაზრდელად და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით სამი ლობისტური კომპანია დაიქირავა.

ლობისტური კომპანია	დაქირავების პერიოდი	გადახდილი თანხა
Hulsen Media Services LLC,	04.2019-11.2020	542.410 $
JPW Communication	04.2019-06.2019	8967.50 $
Hill and Knowlton Strategies, LLC	04.2019-02.2020	1,874,755.02 $

ერთ-ერთი ასეთი დაქირავებული კომპანიაა Hulsen Media Services LLC, რომელთან გაფორმებულ კონტრაქტს ხელს აშშ-ში საქართველოს დესპანი გიორგი წიკოლია აწერს. კონტრაქტი დადებულია 2019 წლის აპრილში და შეწყდა 2020 წლის ნოემბერში.

ფირმამ უნდა უზრუნველყოს მედია მომსახურების შეძენა მისი კლიენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით. ასევე დაეხმაროს აშშ-ს სახელმწიფო და ფედერალური კანონმდებლების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და აუდიტორიის ინფორმირებაში საქართველოს ეკონომიკის შესაძლებლობების შესახებ. ურთიერთობა შეიძლება მოიცავდეს ბეჭდურ, სატელევიზიო და ციფრულ რეკლამას. ამ კომპანიამ განათავსა რეკლამა ვაშინგტონის საკაბელო ტელევიზიასა და დალასი/ტეხასის მედია ბაზარზე. მხოლოდ პროექტისთვის კომპანიამ მიიღო 542,410 აშშ დოლარი. უფრო ვრცელი ანგარიში, სადაც დეტალურად იქნება ამ ლობისტური კომპანიისთვის გადახდილი თანხა დასახელებულ კომპანიას არ წარუდგენია.

ასევე დესპანის გიორგი წიკოლიას თაოსნობით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დაიქირავა ლობისტური კომპანია JPW Communication. კონტრაქტი ასევე გაფორმებულია 2019 წლის აპრილში ამავე წლის ივნისამდე. როგორც კონტრაქტში წერია, ფირმა დაეხმარება ბიზნესის დაინტერესებულ წარმომადგენლებს აშშ-საქართველოს გაღრმავებული სავაჭრო ურთიერთობების ადვოკატირებაში. ასევე მოაწყობენ შეხვედრებს აშშ-სა და საქართველოს მხრიდან დაინტერესებულ პირებს შორის. ამ მომსახურებისთვის გადახდილი თანხა შეადგენს 8967.50 აშშ დოლარს.

Hill and Knowlton Strategies, LLC კიდევ ერთი დაქირავებული კომპანიაა, რომელთანაც დადებულ კონტრაქტს ხელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მაშინდელი მინისტრი გიორგი ქობულია აწერს. ეს კომპანია ნახსენებ ორ კომპანიასთან მჭიდროდ თანამშრომლობს და იგივე მომსახურებას სთავაზობს თავის კლიენტს. ამასთანავე კონტრაქტში ხაზგასმულია, რომ შეერთებულმა შტატებმა

უნდა გააფართოოს საქართველოსთან თავისი ურთიერთობა, როგორც მჭიდრო მოკავშირესთან.

H+K იმუშავებს კლიენტთან, რათა ხელი შეუწყოს ვაჭრობისა და ინვესტიციების გაზრდას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის, ამისათვის მათ უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რეგიონული ბიზნეს კოალიციისთვის წევრების მოზიდვა და კოალიციის ვებსაიტის შექმნა. კომპანია პირველად დაიქირავეს 2019 წლის აპრილში 31 დეკემბრამდე. პროექტს ხელს აწერს მინისტრი გიორგი ქობულია და ელჩი დავით ბაქრაძე. ხოლო მეორე კონტრაქტი შეეწყდა 2020 წლის თებერვალში.

ლობისტურმა კომპანიამ 2019 წლის მაისში საკონსულტაციო მომსახურებისა და მედიაში განხორციელებული საქმიანობისთვის მიიღო 1,231,897.86 აშშ დოლარი. მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურებისთის კომპანიამ საქართველოს მთავრობისგან 2019 წლის აგვისტოსა და ნოემბერში მიიღო 428,571.44 აშშ დოლარი. ასევე საკონსულტაციო მომსახურებისთვის და მედიაში გავრცელებული ინფორმაციისთვის გადაურიცხეს 214,285.72 აშშ დოლარი ამავე წლის დეკემბერში. საბოლოოდ ამ კომპანიამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით 2019 წელს მიიღო ჯამში 1,231,897.86 აშშ დოლარი.

სამივე ლობისტურ ფირმასთან კონტრაქტი ამჟამად შეწყვეტილია. მათ მიერ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტში წარდგენილ ანგარიშებში დეტლურადაა გაწერილი, ის სამუშაო რაც მათ საქართველოს მთავრობის დავალებით შეასრულეს.

მათი ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 2019 წლის 6 ივნისს დალასში ვიზიტით უნდა ჩასულიყო საქართველოს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე. ამ კომპანიის ლობისტებმა დაგზავნეს ელექტრონული მეილები დალასის ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ პირებთან და მასთან შეხვედრაზე მიიწვიეს.

გაგზავნილ მეილებში საქართველოს შესახებ ინფორმაცია და შეხვედრის მიზანი იყო ახსნილი. როგორც წერილებში ეწერა, საქართველოს მთავრობა დალასში ცდილობს გაზარდოს აშშ-ს და საქართველოს შორის ვაჭრობა და ინვესტიციები, რომლის მთავარი მიზანია ამ ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) მიღწევა. ლობისტების თქმით, საქართველოს სურს განიხილოს საინვესტიციო შესაძლებლობები და პარტნიორობა იმ კომპანიებთან, რომლებიც

დაინტერესებულნი არიან ამ რეგიონში მუშაობით ან გაფართოვდნენ ისეთ სექტორებზე, როგორიცაა ტექნოლოგია, განახლებადი ენერგიის განვითარება, წარმოება.

წერილში ახსნილია, რომ ბოლო წლებში საქართველო მუშაობს საკუთარი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის გასაძლიერებლად აშშ-ს ტექნოლოგიური ინდუსტრიის დახმარებით, რომ საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა სამეწარმეო პროგრამების ჩამოყალიბებას, ტექნოლოგიური სამიტის Startup Grind Tbilisi-ს და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შექმნას, ხოლო ორივე „სილიკონის ველის“ პარტნიორია. ამის შემდეგ, ლობისტები საქართველოს სტრატეგიულ ადგილმდებარეობასა და კარგ ბიზნეს-გარემოს უსვამენ ხაზს.

მეილში წერია, რომ საქართველო სტრატეგიულად მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, რაც კომპანიებს აძლევს ახალ შესაძლებლობებს. საქართველო აღიარებულია, როგორც ბიზნესის კეთების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე იოლი ადგილი მსოფლიოში. მსოფლიო ბანკის Doing Business 2019 ანგარიშის თანახმად, საქართველო მეექვსე ადგილზეა ბიზნესის კეთების სიმარტივეში 190 ქვეყანას შორის.

გარდა ამ შეხვედრის ორგანიზებისა, ლობისტურმა კომპანიამ საზოგადოებრივი აზრის კვლევვა ჩაატარა. შექმნა კითხვარი, რომლის მეშვეობითაც 1500 ამერიკელს შეეძლო ონლაინ ეპასუხა. კითხვარი შეეხებოდა ამერიკისა და სხვა ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობებს და რიგითი ამერიკელების დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ.

ლობისტებმა მოამზადეს მამუკა ბახტაძის ბიოგრაფია, რომელიც დაუგზავნეს ტეხასში, ქალაქ ოსტინის მაღალჩინოსნებს. მასში აღნიშნული იყო, რომ ბახტაძემ ჩამოაყალიბა ძლიერი ხედვა ერისთვის, აგებული დემოკრატიის გაძლიერებაზე, მდგრადი ეკონომიკის ხელშეწყობაზე. მან ხელი შეუწყო საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის წინსვლას, მოკავშირეებთან მხარდამხარ იდგა გლობალური უსაფრთხოების გასაძლიერებლად. საშინაო კუთხით, ბახტაძემ წარადგინა „მწვანე ეკონომიკის“ და „მცირე მთავრობის“ პოლიტიკა, რამაც სამინისტროების რაოდენობა 14-დან 11-მდე შეამცირა და ბიუჯეტის ხარჯები სოციალურ პროგრამებზე გადაიტანა. მან დაიწყო ყოვლისმომცველი რეფორმის პროგრამა ქვეყნის განათლების სისტემის განახლების მიზნით და პირობა დადო გამოყოს მშპ -ს 6% ადამიანური კაპი-

ტალის განვითარების გასაძლიერებლად და მდგრადი ეკონომიკური ზრდის გასაძლიერებლად.

საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე ამ შეხვედრების დამადასტურებელი ინფორმაციებია განთავსებული. ამ ინფორმაციის თანახმად, დალასის Capital Factory-ში, რომელიც ტეხასის შტატში მოქმედი მეწარმეების უმსხვილესი ცენტრია, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძემ საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და დამწყები ბიზნესის განვითარებაზე ესაუბრა მრგვალი მაგიდის მონაწილეებთან. (საქართველოს მთავრობა, 2019).

გარდა შეხვედრების ორგანიზებისა, ლობისტურმა კომპანიამ აშშ-ში საქართველოს საელჩოს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია კოალიცია „ბიზნესი საქართველოსთვის“ შესახებ, რომლის მიზანიცაა საქართველოსა და აშშ-ს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა. კოალიციამ უნდა წაახალისოს კონგრესი რათა გაძლიერდეს სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის და მხარი დაუჭირონ ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებას.

ლობისტების ძალისხმევით, გამოქვეყნდა სტატია ჟურნალ პოლიტიკოში: GEORGIA GOOD FOR BUSINESS, GOOD FOR AMERICA, სადაც საუბარია საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და ბიზნესის შესახებ დადებით კონტექსტში. ეს სტატია განათავსეს აშშ-ში საქართველოს საელჩოს სოციალურ ქსელებში ფეისბუქისა და ტვიტერის გვერდებზე.

გარდა ამისა ლობისტურმა კომპანიამ გააკეთა ორი სატელევიზიო რეკლამა, ერთი 30 წამიანი და მეორე 60 წამიანი, სადაც ერაყის ომის ვეტერანი საუბრობს საქართველოზე, როგორც ქვეყანაზე, რომელიც მსახურობდა ერაყში და კვლავ ეხმარება აშს-ს ავღანეთში, რომ საქართველომ გაგზავნა უფრო მეტი ჯარი, ვიდრე ნატოს წევრმა სხვა ქვეყნებმა. ის საუბრობს საქართველოს ბუნებრივ სილამაზეზე და ისეთ მდიდარ მემკვიდრეობაზე, როგორიცაა ღვინო, რომელსაც 8000 წელზე მეტია ამზადებენ. ის ღვინის სამშობლოს უწოდებს საქართველოს; აღწერს საქართველოს, როგორც მთავარ კარიბჭეს ევროპასა და აზიას შორის. მისი თქმით, ამერიკულ ბიზნესს კარგი შესაძლებლობები ელოდება საქართველოში და არასდროს არ ყოფილა უკეთესი დრო ინვესტიციისთვის. მისი თქმით, ამერიკული ბიზნესის გაფართოებით საქართველოში შეიქმნება მეტი შესაძლებლობა ამერიკისთვის, რათა გაზარდოს მან ექსპორტი ევროპასა და აზიაში.

ამავე ლობისტურმა კომპანიამ საქართველოში პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარიას დანიშვნისთანავე, დაარიგა პრესრელიზები სათაურით: დადასტურებული რეფორმატორი, რომელსაც აქვს ღრმა ეკონომიკური და უსაფრთხოების გამოცდილება საქართველოს მთავრობის სათავეში.

საქართველოს მთავრობას ამ ლობისტურ კომპანიებთან მუშაობა მხოლოდ 2019 წელს მოუწია, თუმცა ამ ერთი წლის განმავლობაში ლობისტებმა მოახერხეს მნიშვნელოვანი შეხვედრების ორგანიზება აშშ-ს მაღალჩინოსნებთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან და რეკლამის განთავსება საქართველოს შესახებ.

როგრც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მჭიდრო, თანასწორი და სტრატეგიული თანამშრომლობაა, მაინც არსებობს რიგი საკითხები, რაზეც ქართულ მხარეს დამატებით უწევს მუშაობა ლობისტების დახმარებით. ერთი მხრივ ესაა საქართველოსადმი ინტერესისა და ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე, რათა ქვეყანამ მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, წარმოჩინდეს როგორც ქვეყანა, რომელიც მომგებიან პირობებს სთავაზობს ბიზნესმენებს. ხოლო მეორე მხრივ, მიაღწიოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას აშშ-თან.

გამოყენებული ლიტერატურის სია

- ჭარაია, ვ. შატაკიშვილი, დ. ლაშხი, მ. კურდღელია, ლ. ანგურიძე, ო. გულბანი, შ. (2020). *ამერიკის შეერთებული შტატების როლი ქართულ ეკონომიკაში.* 13.10.2021. https://sector3.ge/Libraries/Download/388
- საქართველოს მთავრობა. (2020). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.* 23.09.2021. http://gov.ge/files/382_42949_233871_400-1.pdf
- საქართველოს მთავრობა. (2019). *პრემიერ-მინისტრმა დალასის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებს მოუწოდა, ისარგებლონ იმ შესაძლებლობებით, რასაც საქართველო ინვესტორებს სთავაზობს.* 22.09.2021. http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=520&info_id=72274
- საქართველოს მთავრობა. (2019). *პრემიერმა დალასის Capital Factory-ის წარმომადგენლები საქართველოში სტარტაპებისა და ინოვაციების განვითარების კუთხით არსებული შესაძლებლობების შესასწავლად მიიწვია.* 22.09.2021. http://gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=520&info_id=72278
- Desbordes, R. Vauday, J. (2006). *THE POLITICAL INFLUENCE OF FOREIGN FIRMS IN DEVELOPING COUNTRIES.* 15.10.2021. https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1468-0343.2007.00317.x
- Eradze, I. (2021). *Imbalanced foreign trade, debt, and investment in developing countries: The case of Georgia.* 17.10.2021.
- https://eu.boell.org/en/2021/06/16/imbalanced-foreign-trade-debt-and-investment-developing-countries-case-georgia?fbclid=IwAR2kQImu5Po09OYT7rPA7eLcyQVNdKLkKiH_2RHQefCI87TeaJQeNzBGmdI
- Montes-Rojas, G. (2012). *Can poor countries lobby for more US bilateral aid?* 10.10.2021. https://www.semanticscholar.org/paper/Can-Poor-Countries-Lobby-for-More-US-Bilateral-Aid-Montes-Rojas/7366d24172346ef06b3ad2cb7cefde045c03a713
- Montes-Rojas, G. (2018). *Can countries lobby for foreign direct investment? Evidence from the US.* 25.09.2021. http://gabrielmontes.com.ar/Montes-Rojas%20IJMEF%202018.pdf
- Smolnik, F. (2020). *The Strategic Partnership between Georgia and the United States: Vision Wanted.* 15.10.2021. https://www.swp-berlin.org/en/publication/the-strategic-partnership-between-georgia-and-the-united-states-vision-wanted/
- Jobst, A. (2002). *FOREIGN LOBBYING IN THE U.S. - A LATIN AMERICAN PERSPECTIVE.* 13. 09.2021. https://www.semanticscholar.org/paper/FOREIGN-LOBBYING-IN-THE-U.S.-A-LATIN-AMERICAN-Jobst/757efbe62e516332b13997db80b54c58fdc2d024

Mariana Kevkhishvili

Lobbying the Georgian economy in the US

Abstract

One of the most important challenges for Georgia is the growth and development of the country's economy, which requires active work in various directions. One of the contributing factors is the continuation of work on bilateral trade and investment relations with the United States, as our country's strategic partner, and the launch of a free trade agreement.

For this purpose, the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia started economic lobbying of Georgia in the USA in 2019 and hired three lobbying companies for that.

One of such hired companies is Hulsen Media Services LLC, with which the contract is signed by the Ambassador of Georgia to the United States Giorgi Tsikolia.

Registrant will assist The Minsistry of Economy and Sustainable Development of Georgia with outreach to state and federal lawmakers, US businesses and US audiences to raise awareness about economic opportunities presented by the country of Georgia, Outreach may include print, TVand digital ads. This company placed ad time on cable television in Washington, D.C, and Dallas Texas Media Markets. The company received $ 542,410 USD for the project alone.

Also under the leadership of Ambassador Giorgi Tsikolia, the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia hired the company JPW Communication. Registrant will also help interested businesses advocate for elevated U.S.-Georgia trade relations. Outreach will include meetings between U.S. and Georgia interests.

Hill and Knowlton Strategies, LLC is another hired company with a contract signed by the then Minister of Economy and Sustainable Development of Georgia Giorgi Kobulia**.** This company works closely with the two companies mentioned and offers the same services to its clients. Underscore the need for the United States to expand its already close relationship with Georgia as a reliable ally.

H+K will work with the Client to encourage increased trade and investment between the United States of America and Georgia, in order to do this, company will: Conduct opinion research; Develop and recruit members for a regional business coalition, and design a website for said coalition.

Client shall pay a project fee of $750,000 for H+K services, payable in seven equa) monthly installments of $107.142.86 USD.

This company describes in detail about arranging meetings for the client, materials published in the media and other activities. The contracts with all three lobbying firms are currently terminated and the Ministry of Economy and Sustainable Development does not currently have a lobbyist operating in the US.

Key words: Lobbyinგ, economy, government of georgia